

შპს „საფლაი ჯეო“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	4
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	5
1. კორპორატიული ინფორმაცია	6
2. მომზადების საფუძველი	6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	7
4. ფული და ფულის ექვივალენტები	8
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8
6. მარაგები.....	9
7. ძირითადი საშუალებები	10
8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11
9. მოლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტები.....	12
10. გრძელვადიანი სესხები	12
11. ამონაგები.....	13
12. სხვა შემოსავლები	13
13. პერიოდის შემდგომი მოვლენები	14

შპს „საფლაი ჯეო“

საპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	11	4,911,929	3,137,627
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(2,554,429)	(557,230)
სულ შემოსავალი		2,357,499	2,580,397
სხვა შემოსავლები	12	43,920	60,436
ხელფასის ხარჯი		(591,530)	(470,507)
ტრანსპორტირების ხარჯი		(539,239)	(502,962)
იჯარის ხარჯი		(128,767)	(144,920)
ცვეთის ხარჯი		(174,379)	(85,067)
კომუნალური ხარჯი		(23,913)	(21,824)
სხვა ხარჯები		(141,064)	(141,064)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		1,883	210
მოგება/(ზარალი) ვალუტის კურსთაშორისი სხვაობიდან		(330,360)	(144,420)
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები		(181,220)	(131,572)
საოპერაციო მოგება		433,892	1,139,771
ფინანსური ხარჯი		(43,324)	(50,651)
მოგება დაბეგრამდე		390,568	1,089,119
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/(ზარალი)		390,568	1,089,119

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 27 დეკემბერს.
დირექტორი ----- თ. ბოლქვაძე



შპს „საფლაი ჯეო“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2022	2021
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	4	1,033,446	36,183
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	1,492,354	2,088,663
მარაგები	6	66,459	77,099
საგადასახადო აქტივები		226,531	207,203
სხვა მოკლევადიანი აქტივები		655,25	62,111
		2,884,318	2,471,258
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	369,377	442,018
არამატერიალური აქტივები		578	697
		369,956	442,714
მთლიანი აქტივები		3,254,274	2,913,973
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	72,783	33,606
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ		28,179	1,750
მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი	9	107,620	81,807
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		811	4,289
		209,395	121,452
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	617,298	755,508
		617,298	755,508
მთლიანი ვალდებულებები		617,298	876,961
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		2,427,580	2,037,012
		2,427,580	2,037,011
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		3,254,274	2,913,973

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 27 სექტემბერს:
დირექტორი ----- თ. ბოლუშაძე



შპს „საფლაი ჯეო“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)	სულ კაპიტალი
ნაშთი 31.12.2020	1	947,894	947,894
კაპიტალის ზრდა	-	-	-
კაპიტალის შემცირება	-	-	-
პერიოდის მოგება	-	1,089,118	545,220
გაცემული დივიდენდი	-	-	-
ნაშთი 31.12.2021	1	2,037,021	2,037,021
კაპიტალის ზრდა	-	-	-
კაპიტალის შემცირება	-	-	-
პერიოდის მოგება	-	390,569	390,569
გაცემული დივიდენდი	-	-	-
ნაშთი 31.12.2022	1	2,427,581	2,427,581

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 27 სექტემბერს:
დირექტორი ----- თ. ბოლქვაძე



ფულადი ნაკადების ანგარიშგება

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2022	2021
პერიოდის მოგება/(ზარალი)	390,568	1,089,118
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	174,379	85,067
საპროცენტო ხარჯი	43,324	50,651
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	608,271	1,224,836
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებები:		
სავაჭო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება	596,308	(713,041)
მარაგების ზრდა	10,638	(19,644)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	62,129	(171,717)
საგადასახადო აქტივები	(19,329)	(68,488)
სხვა აქტივების ზრდა/(შემცირება)	(3,415)	
გადახდილი პროცენტი	(43,324)	(50,651)
წმინა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1,211,280	201,295

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:

ძირითადი საშუალებების შეძენა	(101,620)	(395,154)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	-	-
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	-	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ნაღდი ფული	(101,620)	(395,154)

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან :

სესხების აღებით მიღებული თანხები	724,919	30,941
სესხების გადახდით გასული თანხები	-	-
მოთხოვნები გაცემული სესხიდან	(837,315)	151,629
დივიდენდის გაცემა	-	-
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(112,396)	182,570

წმინდა ზრდა ფული და ფულის ეკვივალენტებში

ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	36,182	47,472
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	1,033,446	36,183

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 27 სექტემბერს:
 დირექტორი ----- თ. ბოლქვაძე



1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს საფლაი ჯეო (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2016 წლის 5 დეკემბერს და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 405179783.

ძირითადი საქმიანობა. შპს საფლაი ჯეოს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კვლევებისათვის საჭირო მედიკამენტების დასაწყობება, გადაადგილება, ტემპერატურულ კონტროლი, შენახვა და დაცვა, იმპორტი/ექსპორტის დოკუმენტების უზრუნველყოფა, გადაზიდვა, მიწოდება კლინიკებში ასევე პაციენტებისათვის ტრანსპორტირების მომსახურების ორგანიზება

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ნუცუბიძის ფერდობი, IVმ/რ, კორპ., №10ბ, ბ. 58

კომპანიის დამფუძნებელი და 100 % წილის მფლობელია: კომპანია „ SP-Logistics Holdings LTD“ რომელიც წარმოადგენს დიდი ბრიტანეთის რეზიდენტს

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) საფუძველზე. 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად პირველად მოხდა მსს ფასს-ის გამოყენება. აღნიშნულ სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. ეს ვერსია გამოყენებულია 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და შემდგომ პერიოდებში - მსს ფასს საანგარიშო პერიოდის ბოლომდე.

მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს კომპანიას არ გაუკეთებია რაიმე სახის კორექტირება, გამომდინარე იქიდან, რომ მსს ფასს-ზე გადასვლას არ ჰქონია არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

კომპანიის საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

შეფასების საფუძველი



შეფასების საფუძველად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით ან განმარტებითი შენიშვნებით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

3.2) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა“.

2022, 2021 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

აშშ დოლარი

ევრო



2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040

4. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფული ექვივალენტები- წარმოადგენს კომპანიის საბანკო ანგარიშებზე არსებულ ფულად სახსრებს, როგორც ეროვნულ ასევე უცხოურ ვალუტაში

	31.12.2022	31.12.2021
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	125,025	18,173
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	908,421	18,010
სულ	1,033,446	36,183

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები - არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან საქონლის მიყიდვის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები.

გაცემული ავანსები-წარადგენს საქონლის/მომსახურების შესაძენად წინასწარ გადახდილ თანხებს.

გაცემული სესხები - წარმოადგენს რეზიდენტ კომპანიაზე გაცემულ სესხს.



	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო მოთხოვნები	502,201	852,614
გაცემული ავანსები	11,999	38,893
გაცემული სესხები	978,153	1,197,156
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	-	-
სულ	1,492,354	2,088,663

6. მარაგები

კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

	31.12.2022	31.12.2021
მზა პროდუქცია	22,564	9,407
მცირე ფასიანი ინვენტარი	42,829	67,692
სხვა მარაგი	1,065	-
სულ	66,459	77,099



7. ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად. ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები
მანქანა-დანადგარები	3-10 წელი
ოფისის აღჭურვილობა	3-10 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარის კეთილმოწყობა	სულ
თვითღირებულება			ო	ო	ა	



შპს „საფლაი ჯეო“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

31 დეკემბერი 2021	400,949	54,719	140,304	67,531	21,912	685,418
შემოსვლა	55,625	12,357	26,124	-	-	94,107
გასვლა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	456,574	67,076	67,531	67,532	21,912	779,525
ცვეთა და გაუფასურება						
31 დეკემბერი 2021	61,632	28,216	118,779	18,795	15,976	243,399
პერიოდის ცვეთა	114,756	6,057	28,044	13,506	4,382	166,747
გაუფასურება	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	176,389	34,274	146,823	32,301	20,358	410,147
ნეტო საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2021	339,316	26,503	21,525	48,736	5,936	442,018
31 დეკემბერი 2022	280,185	32,802	19,605	35,230	1,554	369,378

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

გადასახდელი ხელფასები - წარმოადგენს თანამშრომლებზე დარიცხულ ხელფასებს, რომლის გაცემაც არ მომხდარა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში

	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო ვალდებულებები	72,783	33,606
გადასახდელი ხელფასი	28,179	1,750
სულ	100,963	35,356

თხოველი



9. მოლვეადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტები

მოლვეადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტები- წარმოადგენს გრძელვადიან სესხზე გადასახდელი პროცენტის მინდინარე ნაწილს

	31.12.2022	31.12.2021
გადასახდელი პროცენტი	107,620	81,807
სულ გადასახდელი პროცენტები	107,620	81,807

10. გრძელვადიანი სესხები

გრძელვადიანი სესხები-წარმოადგენს არარეზიდენტი კომპანიის მიერ მიღებულ სესხს, რომლის ძირის და პროცენტის მინდინარე ნაწილი აღირებულია როგორც მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტები

	31.12.2022	31.12.2021
გრძელვადიანი სესხები	617,298	755,508
სულ გრძელვადიანი სესხები	617,298	755,508



11. ამონაგები

ამონაგები - მოიცავს როგორც საქონლის მიწოდებიდან ასევე მომსახურების გაწევიდან მისაღებ ფულად სახსრებს ან სხვა საგებელს. ამონაგების აღიარება ხდება მაშინ როდესაც საქონელზე რისკი და სარგებელი გადაეცემა საქონლის მყიდველს

შემოსავლის აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე

	31.12.2022	31.12.2021
შემოსავალი საქონლის/მომსახურების რეალიზაციიდან	4,911,929	3,137,627
სულ	4,911,929	3,137,627

12. სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლები-სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

	31.12.2022	31.12.2021
საპროცენტო შემოსავალი	15,597	17,750
შუამავალი, კლიენტზე ანაზღაურებული კომპენსაცია	28,323	42,685



სულ	43,920	60,436
-----	--------	--------

13. პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

